



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 21 ივნისი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი
(ყოფილი ევროპის სახლი)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
3. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
4. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. თემურ ჯერაპოვი - ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
8. ზურაბ კაკაბაძე - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
9. ანდრო თვალაშვილი - „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი
10. ნათია ღვინჯილია - ლევან მიქელაძის ფონდი
11. ნინო თალაკვაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
12. ვიქტორია ქვარცხავა - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო

განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-2 სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე (ქ.კიშინოვი, მოლდოვა 6-8 ივნისი, 2017წ.) განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება - ნინო ელიზბარაშვილი
2. „ევროკომისიის ჩარჩო პროგრამებში განხორციელებული/მიმდინარე პროექტების შედეგების რეალიზაციის შესაძლებლობა საქართველოში“- გივი ქოჩორაძე
3. "მეწარმეობის მოდულის პრობლემები პროფესიულ სასწავლებლების პროგრამებში და სამეწარმეო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო" - ეკა გეგეშიძე
4. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის დღისწესრიგის მიხედვით II სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
5. სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა ჯგუფის კოორდინატორის ქალბატონი ნინო ელიზბარაშვილის მცირე მოხსენება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის, მე-2 სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შეხვედრა ძირითადად მიემდგვნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-9 ყოველწლიური ასამბლეის ორგანიზების საკითხებს. გარდა ამისა, ჯგუფმა განიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამდღიანოს მიერ გამოცხადებული რეგრანტივის შედეგები და მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტები. მან ასევე ისაუბრა პროექტზე, რომელშიც ჩართულია მისი ორგანიზაცია. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებთან დაახლოებას, ექსპორტის ხელშეწყობას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მეწარმეობის განვითარებას, ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და ლატვიის გამოცდილების გაზიარებას, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე სამოქალაქო ორგანიზაციების ხედვების ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობის გაღრმავებას. ქალბატონმა ნინომ კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით 4 ივნისს გაიმართება სემინარი, ხოლო 5 ივნისს მრგვალი მაგიდა და მოიწვია ჯგუფის წევრები შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

შეხვედრის შემდეგ ნაწილში ევროკომისიის ჩარჩო პროგრამებში განხორციელებული/მიმდინარე პროექტების შედეგების რეალიზაციის საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე ისაუბრა „კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების

ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი“-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გივი ქოჩორაძემ. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ტექნოპლატფორმების საკითხზე, რაც გულისხმობს ფინანსური და სამეცნიერო კომპონენტის გაერთიანებას, ასევე ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის თანამშრომლობის პროგრამების შესახებ, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აქცენტი გამახვილებულია აღმოსავლეთ ევროპის კლასტერების შექმნას, მეფინგსა და განვითარებაზე. მან ასევე მიაწოდა ინფორმაცია ჯგუფის დამსწრე წევრებს ევროკავშირის საბროკერო ღონისძიებების შესახებ.¹

შემდეგ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა „ჯუნორ ეჩივმენტი საქართველოს“-ს წარმომადგენლის პრეზენტაცია საკითხზე: "მეწარმეობის მოდულის პრობლემები პროფესიულ სასწავლებლების პროგრამებში და სამეწარმეო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო". საკითხზე მსჯელობის შემდეგ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული სასწავლებლის პროგრამა არ შეესაბამება ევროპულ მეწარმეობის კომპეტენციების ჩარჩოთი გათვალისწინებულ კომპეტენციებს. უფრო მეტიც, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტიც ითვალისწინებს იგივე შედეგზე გასვლას რაც წიგნშია ასახული, შესაბამისად სტანდარტი და მეწარმეობის პროგრამები არ მოდის შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. გარდა ამისა, საქართველოს კანონის პროექტი პროფესიული განათლების შესახებ შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც გამართვას საჭიროებს.²

შეხვედრის დასასრულს, ჯგუფმა იმსჯელა სამოქმედო გეგმაზე და მიიღო გადაწყვეტილება მასში გათვალისწინებული იქნეს ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შესაბამისი სახით დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა.³

სამოქმედო გეგმაზე საუბრისას ჯგუფის თანაკოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა წარადგინა ინიციატივა ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო წინადადებებს. საკითხთან დაკავშირებით, „ენერგოეფექტურობის ფონდი“-ს წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სამუშაო ჯგუფმა ასევე იმუშაოს მიკრო ბიზნესის პროგრამის მონიტორინგის მიმართულებითაც.

შეხვედრის ბოლოს, ჯგუფის თანაკოორდინატორმა, ორგანიზაციის: „ასოციაცია ქალი და ბიზნესი“-ს წარმომადგენელმა, ყურადღება გაამახვილა ჯგუფის წევრების დასწრების სიმცირეზე და წარადგინა წინადადება კოორდინატორებმა შეიმუშაონ შესაბამისი მიმართვა ჯგუფის წევრებისადმი, რომ მეტად აქტიურად ჩაერთონ ჯგუფის საქმიანობაში. სამდივნო თავის მხრივ გაავრცელებს აღნიშნულ მიმართვას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ პრეზენტაციაში.

² დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ პრეზენტაციაში.

³ სამოქმედო გეგმა თან ერთვის ოქმს